საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

28/10/2022

N 1747

1747-09-02-11-3-202210281638

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ბიუროს

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის მე-4 პუნქტისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, გეგზავნებათ პეტიცია - „ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ (N09-02-13-ქ/696, 06.09.2022 წელი, პეტიციის ავტორი: მაია ქათამაძე) თანდართულ მასალებთან ერთად.

დანართი: 2 (ორი) PDF ფაილი.

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

თავმჯდომარე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ადგილობრივი თვითმმართველობა, ეროვნული უმცირესობებისა და სამოქალაქო ინტეგრაციის სამინისტრო
09.01.08/36
28. 10. 2022

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

13/10/2022
N 1670

1670-09-02-11-3-202210131133

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში, 2022 წლის 06 სექტემბერს, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლის შესაბამისად, შემოვიდა ელექტრონული პეტიციის განაცხადი - ***„ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის"*** (09-02-13-ქ/696, 06.09.2022წ. პეტიციის ავტორი: მაია ქათამაძე). წარმოდგენილი პეტიცია, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნის საფუძველზე, 2022 წლის 12 სექტემბერს, მხარდამჭერების შეგროვების მიზნით (არანაკლებ 200 მხარდამჭერი), გამოქვეყნდა ვებპლატფორმაზე - chaerte.sca.ge.

2022 წლის 12 ოქტომბერს, ხელმოწერების შესაგროვებლად რეგლამენტით გათვალისწინებული ერთთვიანი ვადა ამოიწურა. პეტიციამ ამ პერიოდში დააგროვა 242 ხელმოწერა.

გიგზავნით ზემოთაღნიშნულ პეტიციას, უმაღლესი საბჭოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის დასკვნას და პლატფორმა chaerte.sca.ge-ს საშუალებით შეგროვებული მხარდამჭერების სიას შემდგომი რეაგირებისთვის.

დანართი „10„ ფურცელი

ზურაბ ჭურკვეიძე

აპარატის უფროსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო - მიმდინარე პეტიცია

ავტორის სახელი: მაია

ავტორის გვარი: ქათამაძე

ავტორის სახელი ბარათიდან: Maia

ავტორის გვარი ბარათიდან: Katamadze

ავტორის პირადი ნომერი ბარათიდან: [redacted]

ავტორის მობილური: [redacted]

ავტორის ელფოსტა: [redacted]

პეტიციის სათაური: ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათავის

პეტიციის შინაარსი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის პროგრამებში გაჩნდეს ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა ან ქვეპროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისა და ზრდასრულებისთვის.
- ადაპტური ტექნოლოგიების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი/ზრდასრული პირი დამოუკიდებლად ან ნაწილობრივ დამოუკიდებლად განახორციელებს რიგ აქტივობების რაშიც მანამდე სჭირდებოდა გარე პირის დახმარება სრულ პროცესში.
- ადაპტური ტექნოლოგიების საშუალებით გაუმჯობესდება კომუნიკაცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს/პირს და საბავშო ბაღის, სკოლის, პროფესიული სასწავლებლის თუ დასაქმების ადგილზე მყოფ პერსონალს შორის, რაც ხელს შეუწყობს სამიზნე ჯგუფის ეფექტურ ჩართულობასა და მონაწილეობას მისთვის აქტუალურ საკითხებში.
- ადაპტური ტექნოლოგიების საშუალებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი/ზრდასრული პირისთვის ხელმისაწვდომი და მართვადი ხდება გარემოში არსებული ელექტრო მოწყობილობები და კომპიუტერული სისტემები. ეს უკანასკნელი კი პირს ეხმარება ინფორმაციის მოძიების, განათლების, კომუნიკაციისა და საზოგადოებაში ჩართულობაში.
- ადაპტური ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელი გახდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დასაქმების სამუშაო გარემოს გაუმჯობესება და ამით მისი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა.
პროგრამის სამიზნე ბენეფიციარები არიან:
1) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები
2) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები
სულ პროგრამით წელიწადში ისარგებლებს მინიმუმ 55 ადამიანი.
პროგრამის ბიუჯეტი:
60,000 ლარი
პეტიციის ინიცირების საფუძველი:
გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ მე-19 მუხლი ხაზს უსვამს დამოუკიდებელი ცხოვრებისა და საზოგადო ცხოვრებაში ჩართვის მნიშვნელობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. კონვენცია ასევე ყურადღებას ამახვილებს განათლების (მუხლი 24), რეაბილიტაციისა (მუხლი 26) და დასაქმების (მუხლი 27) ხელშეწყობაზე, რაც საფუძველია მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობის. 2020 წელს მიღებული კანონის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მუხლი 35- ის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები/ დაწესებულებები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულები არიან“ შეიმუშაონ და დანერგონ დამოუკიდებელი ცხოვრების მხარდაჭერისა და სოციალური ინკლუზიის პროგრამები შეზღუდული შესაძლებლბის მქონე პირთა მონაწილეობით და მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით“.

პროექტის „მე მაქვს უფლება...დამხმარე ტექნოლოგირნი შშმ პირების სამსახურში,მათი დამოუკიფებელი ცხოვრების უკეთესი განათლების, შრომისა და დასაქმების ხელშესაწყობად.“ რომელიც ხორციელდება პროექტის, სამოქალაქო საზოგადოება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისთვის საქართველოში, ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ფარგლებში ბათუმის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრმა განახორციელა საპილოტე პროგრამა „მე მაქვს უფლება“.

შემოსული № 03-02-13-316
03 02 დანართი

დამხამრე ტექნოლოგიები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სამსახურში, მათი დამოუკიდებელი ცხოვრების, უკეთესი განათლების, შრომისა და დასაქმების ხელშესაწყობად“ უკვე გადამზადებული არის 15 სპეციალისტი რომელმაც იცის ბენეფიციარის შეფასება, მისთვის ზუსტი ადაპტური ტექნოლოგიის განსაზღვრა და მასზე მორგება/სწავლება. პროექტის ფარგლებში შეძენილი იყო 24 ადაპტური საშუალება. საპილოტე პროექტის დადებითი შედეგების შესანარჩუნებლად, მნიშვნელოვანია აღნიშნული პროექტი გახდეს მდგრადი და გადავიდეს დაფინანსებაზე, რაც საშუალებას მისცემს კიდევ უფრო მეტ შეზღდული შესაძლებლობის მქონე პირს გახდეს დამოუკიდებელი და ეფექტურად ჩაერთოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხების მოგვარებაში.

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

12/09/2022
N 1482

1482-09-02-11-3-202209121251

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

დასკვნა

„ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ პეტიციის შესახებ

(N09-02-13-ქ/696, 06.09.2022 წ. პეტიციის ავტორი: მაია ქათამაძე)

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პეტიციის წარდგენის და განხილვის წესისა და პეტიციის განაცხადის ელექტრონული ფორმის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებული „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესის“ შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა „ადაპტური ტექნოლოგიების მხარდამჭერი პროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის“ მოქალაქე მაია ქათამაძის 2022 წლის 06 სექტემბრის N09-02-13-ქ/696 პეტიცია.

წარმოდგენილი პეტიციის შინაარსი შეესაბამება პეტიციის წარდგენის მიმართ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 140[1] მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2021 წლის 31 დეკემბრის N55 ბრძანებით დამტკიცებულ „პეტიციის წარდგენის და განხილვის წესით“ დადგენილ მოთხოვნებს და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით მისი გამოქვეყნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

პატივისცემით,

მანანა ჯორბენაძე

დეპარტამენტის უფროსი -მ.შ.

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი